განკარგულება:**გ-27.27210891**
თარიღი:**30/03/2021**

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 25

30 მარტი 2021წ.

ქ. თელავი

ქალაქ თელავში, ახოსპირელის ქუჩაზე მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სოფიო არსენიშვილისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის, განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტებისა და 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად,

1. მიეცეს თანხმობა თელავის მუნიციპალიტეტის მერს, მოქალაქე სოფიო არსენიშვილს პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, აღნაგობის ფორმით, 30 (ოცდაათი) წლის ვადით სარგებლობაში გადასცეს ქალაქ თელავში, ახოსპირელის ქუჩაზე მდებარე 67 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 53.20.45.359), შემდგომში გვირაბის ტიპის მიწისქვეშა სათავსის (ღვინის მარანი) მშენებლობის მიზნით.

2. აღნაგობის წლიური საფასური განისაზღვროს 610 (ექვსასათი) ლარით.

3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

4. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში (მის: ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის გამზ. №41).

არჩილი თხლაშიძე

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი